შრიპად შანკარაჩარია
ბჰაჯაგოვინდამ

თარგმანი - დევარატა დას (დავით თუთბერიძე)

1. ადიდე ღმერთი, ადიდე ღმერთი,
   ღმერთი ადიდე ჭკუანაკლულო
   ვერა, ვერ გიხსნის განსწავლულობა
   როცა დადგება სიცოცხლის ბოლო

2. ბრიყვო, განაგდე მოხვეჭის ფიქრი
   ჭკუა ახმარე სულის ცხონებას
   მოვალეობას შენსას მიხედე
   ბედი თვით მოგცემს სამყოფ ქონებას

3. ნუ გაგაგიჟებს ქალის სხეული
   ხილვისთანავე გონის ამრევი
   მუდამ გახსოვდეს - ესაა მხოლოდ
   სისხლის, ხორცის და ცხიმის ნარევი

4. ჩვენი ცხოვრება ისე მყარია
   ვით წვიმის წვეთი ფოთოლის წვერზე
   ამპარტავნობით შებორკილები
   ვალთ მწუხარების უსაზღვრო ველზე

5. ფულის შოვნა შეგიძლია სანამ
   ყველა გაქებს, თავსაც ყველა გიკრავს
   სიბერე რომ დაგიკუტავს სხეულს
   შენიანიც აღარ მოგიკითხავს

6. სანამ სხეულში ჰაერი სუნთქავს
   შენს ტანს ოჯახში ყველა ეხვევა
   მაგრამ როდესაც სიცოცხლე მიდის
   ცოლსაც კი უჭირს გვამთან შეხება

7. ბავშვი თამაშობ, ვაჟი ქალს დასდევ
   სიბერეში კი ტვინი გერევა
   ერთი მითხარი უფალზე ფიქრი
   შენს აზრებს როდის გამოერევა